საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

42282-07-05-2-202005051920

N 07-05/42282
05/05/2020

***ძალიან სასწრაფო***

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 7 მაისს იგეგმება მოლაპარაკებების გამართვა საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის გასაფორმებელ სასესხო შეთანხმებაზე „COVID-19-ის წინააღმდეგ სწრაფი რეაგირების პროექტთან" დაკავშირებით.

პროექტის განსახორციელებლად AIIB გამოყოფს სესხს 100 მლნ დოლარის ოდენობით.

გიგზავნით აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გასაფორმებელი სასესხო შეთანხმების პროექტს ინგლისურ ენაზე (ქართულ თარგმანს მოგაწვდით მოგვიანებით) და გთხოვთ, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში მოგვაწოდოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასკვნა.

ამასთან, გთხოვთ წარმოგვიდგინოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კანდიდატურა მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების მიზნით.

დანართი: 18 გვერდი

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე